ბრძანება № 1-50

გორი 13 09 2017 წ.

„სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატნობის კანდიდატთა რეგისტრაციის გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის" რექტორის 2017 წლის 25 აგვისტოს N1-42 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, „სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის და რექტორის მოადგილის ალექსანდრე მღებრიშვილისათვის უფლებამოსილებების მინიჭების შესახებ" რექტორის 2017 წლის 04 სექტემბრის N3-389 ბრძანებისა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის (13.09.2017 N1063099) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატნობის კანდიდატთა რეგისტრაციის გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის" რექტორის 2017 წლის 25 აგვისტოს N1-42 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ" ქვეპუნქტი:

„მ) საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა."

2. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განისაზღვროს:

ა) მისაღებ საგამოცდო საგნად საჯარო მმართველობა, მისაღები გამოცდის ჩატარების დროდ 11 საათი, ხოლო ადგილად მე-3 სასწავლო კორპუსის N307 აუდიტორია;

ბ) მისაღები საგნობრივი საგამოცდო კომისია და საპრეტენზიო საბჭოს შემადგენლობა შემდეგი სახით:

საგამოცდო კომისია:

ზვიად როგავა - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, თავმჯდომარე;

კახი ყურაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი;

ციური დურული - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი.

საპრეტენზიო საბჭო:

ნინო ორჯონიკიძე - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, თავმჯდომარე;

გიორგი გიორგაძე - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ნინო ლიპარტელიანი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი.

2. კანცელარიას დაევალოს ეს ბრძანება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორის მ/მ ალექსანდრე მღებრიშვილი

218076542